F 550 - N 7452

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის მუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა..."

# ოდიში

1991
სამშაბათი
2
აპრილი
№39 (10432)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

## ფეხი ავუწყოთ სიახლეებს

ეგრეთწოდებული „პერესტროიკის" ექვსწლიანმა პერიოდმა ყოველი სალად მოაზროვნე ადამიანი დაარწმუნა, რომ ბევრი რეალური საქმე შეიცვალა დაპირებით, ჭეშმარიტი ცნების მაგიერ ხალხს შესთავაზეს ფსევდოტერმინი, რომელიც მეტწილად დემაგოგიური შინაარსით იქნა შებურვილი.

ავიღოთ მიწის საკითხი. რა ხდება ფაქტიურად ეგრეთწოდებულ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. სხვადასხვა დონის საკრებულოებზე ხმის ჩახლეჩამდე კამათობენ, აანალიზებენ, ამუშავებენ მიწის რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებს. იღებენ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ისინი იმდენად არა რეალურია, რომ პრაქტიკაში ფეხს ვერ იკიდებენ. ერთი შეხედვით, მეტად შთამბეჭდავი საუბრები იმართება წარმოებისა და საკუთრების, სხვადასხვა ალტერნატიულ ფორმებზე, ნაირგვარ სტრუქტურებზე. მაგრამ ეს საუბარი ძირითადად ფორმალურ ჩარჩოებში რჩება. ამის დამადასტურებელი მაგალითია მრავალრიცხოვანი მიტინგები რუსეთის სხვადასხვა რეგიონებში, სადაც ასიათასობით მოტყუებული ადამიანი პროტესტს გამოთქვამს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ.

არ არის სადაო ის გარემოება, რომ მთელი საბჭოთა კავშირის აგროსისტემა პარალიზებულია. ხალხი პანიკამ და შიშმა მოიცვა, და ეს განწყობილება მომდინარეობს თვით პარტოკრატიული ცენტრალური ხელისუფლების ნირშეუცვლელი სურვილიდან კვლავაც ძველებური ავტორიტალური სტრუქტურებით მართოს ეკონომიკა.

რატომ ვწერთ ყოველივე ამას? მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი დღემდე რჩება უნიტარულ სახელმწიფოდ, რომელიც ერთპარტიული მართვის სადავეებს ხელიდან არ უშვებს და ამით ბლოკირებას უწევს დემოკრატიულ მოძრაობას. ყოველივე ამის ფონზე საქართველოში მიმდინარე პროცესს გადაუჭარბებლად შეიძლება რევოლუციური გარდატეხა ვუწოდოთ. წერტილი დაესვა კომუნისტურ მმართველობას და ქვეყანას სათავეში ჩაუდგნენ ეროვნული ძალები. ბევრი რამ ხდება სასიკეთო და დამაიმედებელი დღევანდელ საქართველოში. არავის არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ეროვნულ პარლამენტს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი წარმოებითი სტრუქტურების შეცვლა, პრივატიზაციის, თავისუფალი მეწარმოების შემოღება. რადიკალური ცვლილებების კურსი ისახება სასოფლო წარმოებაში. სულ მოკლე ხანში აქ აღდგება მეურნეობრიობის ტრადიციული ფორმები, ქართველი გლეხკაცი აღიჭურვება კერძო საკუთრების უფლებით მიწაზე და მას ყოველმხრივ გაეხსნება ხელ-ფეხი. მაგრამ ეს არ მოხერხდება ერთბაშად, ხელის ერთი დაკვრით. სწორედ ამ მიზნით არის დაწესებული გარდამავალი პერიოდი, რომლის დროსაც თანდათან მოხდება ეკონომიკის ლიბერალიზაცია, წარმოების არასაბჭოური სტრუქტურების მოშლა.

ამიტომ, საჭიროა სწორად აღვიქვათ დროის რეალიები. დროებით ვიმოქმედოთ საზოგადოებრივი მეურნეობებისა და სოფლის კოოპერაციის სტრუქტურებში, ამასთან მაქსიმალურად განვავითაროთ ადგილობრივი თვითმმართველობის, საიჯარო ურთიერთობის პრინციპები, რათა მეურნე კაცმა იგრძნოს თავისუფლება, მიიღოს თავისი შრომის შედეგებით ტკბობის შანსი.

საპარლამენტო ბიბლიოთეკა

გაზაფხული.—მინდორი გვიხმობს

## ახლა ყოველი წუთი ძვირფასია

დადგა გაზაფხული, ეს კი სოფლის მეურნეობის მუშაკთა ძალების სერიოზულ მობილიზებას მოითხოვს. იჯარა—შრომის ეს ყველაზე ეფექტიანი ფორმა ფართო გასაქანს პოულობს ცაიშის კოლმეურნეობაში. ყველა დარგს გამოუჩნდა ქომაგი, ფორმდება ხელშეკრულებები, ნაწილდება ფუნქციები, დაგროვილ გამოცდილებას ერთხელ კიდევ აანალიზებენ მეჩაიეები, მხვნელ-მთესველები, დიდია ხვალინდელი დღის რწმენა, რადგან საქართველო ადგას სწორ გზას და მიზნის მისაღწევად სხვა ფაქტორებთან ერთად მძლავრი ეკონომიკა უმთავრესია.

იმედით შეუდგნენ საქმეს მხვნელ-მთესველები, წამგებიანი დარგი უნდა გახდეს მომგებიანი, 280 ჰექტარიდან საგაზაფხულო სამუშაოები—პირველი ხვნა, ნიადაგის დამუშავება ჩატარებულია 190 ჰექტარზე.

მეჩაიეებმა წელს უნდა აწარმოონ 1200 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, პლანტაციების გასხვლა 108 ჰექტარიდან ჩატარებულია 60 ჰექტარზე, სასუქები შეტანილია 40 ჰექტარზე.

აგროღონისძიებებით გათვალისწინებული სამუშაოები მიმდინარეობს ტუნგისა და ციტრუსოვანთა ბაღებში.

ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ავტოპარკისა და მეცხოველეობის ფერმის გადაცემა მეიჯარეებისათვის. ადრე ზარალიანი დარგები შრომის იჯარულმა ფორმამ უნდა გახადოს მომგებიანი, წინ სერიოზული გამოცდაა.

დღეს მთავარია არ შევეგუოთ ფორმალიზმს, გავექცეთ მოჩვენებითობას, რეალურად გავიანგარიშოთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ოპერაცია, რამე თუ ეკონომიკის აღორძინება ქვეყნის საიმედო დასაყრდენია.

ახალი საქართველოს შენებას მორალი და ზნეობა უნდა დავუდვათ საფუძვლად. კეთილსინდისიერებამ უნდა გაიმარჯვოს. სანამ ამას არ მივაღწევთ გამუდმებით წავაწყდებით ზერელე ხელშეკრულებებსა და უსაფუძვლო შეთანხმებებს.

მეჩაიემ, მეცხოველემ, მხვნელ-მთესველმა, საერთოდ მიწათმოქმედმა მტკიცედ უნდა იცოდეს, რომ თავისი პირადი საქმის მოგვარებით ის საქვეყნო საქმესაც აგვარებს. ოჯახისა და ერის ინტერესი განუყრელი უნდა იყოს.

დრო არ იცდის, ახლა ყოველი წუთი ძვირფასია, საკმარისია ოდნავ მოდუნება და დანაკარგები სახეზეა, ამის უფლება კი არ გვაქვს.

ბ. ასათიანი.

## კორექტირების შეტანით

გაზაფხული ძალაში შედის. არ აყოვნებენ სოფლის მოიჯარეები, რადგან საიჯარო შრომა მჭიდროდ უკავშირდება ანაზღაურებას და საბოლოო შედეგებსაც ეს ანპირობებს. საფუძველი ეყრება გადამწყვეტი წლის მოსავალს.

გასულ სამეურნეო წელს ახალაბასთუმნელმა მშრომელებმა გადამეტებით შეასრულეს ვალდებულებები, მაგრამ ეს იყო შარშან, წელს კი უფრო გამიზნული ამოცანების წინაშე დგანან სოფლის მეურნეობის მუშაკები.

იმის თაობაზე, თუ რა კეთდება სოფლად სამომავლოდ გვესაუბრება კოლმეურნეობის მთავარი ეკონომისტი ზურამ როგავა:

ჩვენი სოფლის მშრომელებს კარგად აქვთ გათვითცნობიერებული, რომ დოვლათის შესაქმნელად, დღეს, როგორც არასოდეს, გულმოდგინე შრომა და მონდომებაა საჭირო.

თუ კი გავაანალიზებთ გასული წლის მონაცემებს უნდა მოვიშველიოთ ციფრები: ჩვენმა მხვნელ-მთესველებმა საჰექტარო მოსავლიანობა (სამარცვლე სიმინდისა) 32 ცენტნერამდე აიყვანეს, სასილოსე მასისა—225 ცენტნერამდე. მეარენდეებს, ერთ ჰექტარამდე მიწა მიემაგრათ 5 წლის ვადით. კოლმეურნეობამ უზრუნველყო ისინი ტექნიკით, სასუქი მინერალებით, მარცვლეულით. მეარენდეებმა გეგმის შიგნით მოსავლის ორი მესამედი გადასცეს კოლმეურნეობას, დარჩენი ზეგეგმით მიღებული პროდუქცია დარჩათ მათსავე განკარგულებაში. უხეში საკვები კი განაწილდა სანახევროდ.

კოლხეთის დაბლობზე ათვისებულ 40 ჰექტარიდან მეარენდეებმა კომპლექსურ-მექანიზაციის ბრიგადის წევრებმა: ლაშქარა ქვანიამ, მურმან სხულუხიამ, მურთაზ, გულუამ, ჯონი ფარცვანიამ ჩინებულად გაართვეს თავი მინდობილ საქმეს. მათვე უზრუნველყვეს მარცვლეულის, შვრიის მოყვანა-სასენაჟედ და მწვანე საკვებად. შუალედ კულტურებს დავუთმეთ 5 ჰექტარი, რაფსს—3, მრავალწლიან ბალახებს 10 ჰექტარი. მოსახლეობას მიეყიდა ნამეტი ნამჯა.

— უვნებლად გამოიზამთრა საქონელმა. 142 სულიდან 35 ფურია. იანვარ-თებერვალში 9,5 ტონის ნაცვლად წარმოებულია 10,5 ტონა რძე. გადამეტებით შესრულდა რძისა და ხორცის სახელმწიფო შესყიდვის გეგმები.

ახლა საჭიროა შემჭიდროებულ ვადებში დავამთავროთ (ერთწლიანი კულტურებისათვის 115 ჰექტარზე) ნიადაგის პირველი ხვნა, დღეისათვის ეს სამუშაო ჩატარებულია 60 ჰექტარზე და მას ტრაქტორისტები ჯონი ფარცვანია და მურთაზ გულუა უძღვებიან.

მეჩაიეთა დაძაბული შრომით შარშან მრეწველობას მიეყიდა 1500 ტონაზე მეტი ნედლეული, წელს კი ვაწარმოებთ 1400 ტონას ანუ გეგმიურზე 100 ტონით მეტს. მიმდინარეობს ხელშეკრულებების გაფორმება მეიჯარეებთან, პლანტაციების გასხვლა, რომელიც 141 ჰექტარიდან ჩატარებულია 40 ჰექტარზე. მექანიზებული წესით გასხვლას აწარმოებენ ჯემალ მუშუქია, მიტუშა ხორავა, ბორის ნანავა, და სხვები.

განზრახული გვაქვს კორექტივების შეტანა ხელშეკრულებებში, ანგარიშსწორება უნდა მოხდეს ახალი შესასყიდი ფასებით, [illegible], გაწეული ხარჯებისა და შეთანადო გადასახადების გათვალისწინებით.

ზ. აბულაძე.

ეს დღეები სოფლად

## გაზაფხული გვაჩქარებს

ჭითაწყარის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა 178 ჰექტარზე გასხვლითი სამუშაოები 1 აპრილისათვის დაამთავრეს.

იბეჭითეს მხვნელ-მთესველებმა. დღეისათვის ერთწლიანი კულტურებისათვის განკუთვნილ ფართობზე დამთავრებულია პირველი ხვნა. 120 ჰექტარი ფართობი მზადაა დასათესად. გააჩნიათ კონდიცირებული თესლი.

საგაზაფხულო სამუშაოებს თავს ართმევენ კომპლექსურ-მექანიზებული ბრიგადის (ხელმძღვანელი მურმან ჯიქია) წევრები კოტე მაქაცარია, ალიკო აკობია, ენვერ ბულია და ნუგზარ კუტალია.

ჩქარობენ ავტოსატრაქტორო პარკში. შემკეთებლები ოთარ ლატარია და მევონა ჭითანავა საიმედოდ არემონტებენ ტექნიკას.

# ვიბრძოლოთ ხალხთა კონსოლიდაციისათვის

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას მიმართვა კავკასიის ხალხებისადმი ერთხელ კიდევ ცხადყოფს ქართველი ხალხის მისწრაფებას [illegible] ურთიერთპატივისცემისა და გაგებაზე, მეგობრობასა და თანადგომაზე აგებული კეთილმეზობლური დამოკიდებულება ჰქონდეს კავკასიაში მოსახლე ყველა ხალხს. მიმართვაში ხაზი აქვს გასმული იმ ისტორიულ რეალობას, რომ სხვადასხვა წარმოშობის და სხვადასხვა სარწმუნოების კავკასიელ ხალხებს შორის ეთნიკური სიძულვილი უცხო იყო, სანამ კავკასია ცეცხლითა და მახვილით, ვერაგულად არ დაიპყრო რუსეთის იმპერიამ. ეს პოლიტიკა გრძელდება დღემდე. ყველა ვართ მოწმე იმისა, თუ როგორ დაიძაბა ურთიერთობა კავკასიელ ხალხებს შორის. უნდობლობა და მტრობა სისხლის ღვრამდე მივიდა. დიდი სიბრძნე აღარ არის საჭირო იმის გასარკვევად, რომ ყოველივე ამის მიზეზი ეგრეთწოდებული „ცენტრია", ეს მან გადაკიდა ერთმანეთს სხვადასხვა ეროვნების ადამიანები.

მიმართვაში გამოხატულია სურვილი, მოხდეს კავკასიელ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კოორდინაცია, დიალოგი, რათა ერთობლივ იქნეს შემუშავებული ერთიანი მოქმედების ტაქტიკა და სტრატეგია.

სწორედ ამ გზით გახდება შესაძლებელი ერთა თვითგამორკვევის პროცესის სწორად წარმართვა, კავკასიის ნამდვილი კონსოლიდაცია და მისი დაფუძნება მსოფლიოს თავისუფალ ხალხთა ოჯახში.

შ. ბუბუშვილი,
პედაგოგი.

# ნუ იქნებით უმადურნი

შინაგანი წუხილის, გულისწყრომის გარეშე ვერ ვისმენ აფხაზეთიდან მოტანილ ცნობებს. აქ უკვე შექმნილია სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციათა ალიანსი, რომელიც ყოველნაირად ცდილობს მოატყუოს უბრალო, მშრომელი საზოგადოება. არწმუნებენ მათ, რომ აფხაზეთის ხსნა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნაა. ადგილობრივი პარტიული ბიუროკრატია ყველანაირ ფანდს მიმართავს საიმისოდ, რომ რესპუბლიკაში შეინარჩუნოს ძველი, საბჭოური სტრუქტურები და ამით შეაფერხოს აქ საქართველოს უზენაესი საბჭოს ეროვნული პოლიტიკის გატარება. რა პოზიციას იკავებს აფხაზეთის მოსახლეობა? ბუნებრივად გაჩენილ ამ კითხვას ჩვენ ასე ვუპასუხებდით: სამწუხაროდ, მათი არცთუ ისე მცირე ნაწილი დაბალ დონეზე დგას. ათასგზის მოტყუებულები და დაბნეულები სწორად ვერ იცნობიერებენ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, მომავლის პერსპექტივებს. ამ გარემოებით სპეკულირებენ ადგილობრივი მაფიის წარმომადგენლები და აბრიყვებენ მათ. ჩვენდა საბედნიეროდ, აფხაზთა შორის არიან პროგრესულად მოაზროვნენიც. მათ კარგად ესმით, რომ უფროს „რუს ძმასთან" სამუდამო დამოყვრება და ქართველთაგან განკერძოება აფხაზეთს არაფერს სასიკეთოს არ მოუტანს. მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაა იმედის მომცემი. მხოლოდ ქართველების გვერდით ექნებათ მათ განვითარების, სრულყოფის ყოველნაირი გარანტიები. ნუთუ ავიწყდებათ აფხაზ სეპარატისტებს ახლო წარსული. ერთიანი დროშისა და ქრისტიანული ჯვრის ქვეშ გვიბრძოლია გარეშე მტერთან. ცარიზმის კოლონიალისტური პოლიტიკის მიერ მოწყობილი გენოციდი—მახაჯირობა მათთვის ისეთივე უბედურება იყო, როგორიც მამელუქობა ქართველებისთვის.

ჩვენო ძირძველო მეზობლებო! ნუ გადაიქცევით მანქურთებად. ნუ დაივიწყებთ ჩვენს ერთიანობას. აწ ოდიშური ჩონგურითა და აფხაზური აფხიარცათი [illegible] ჰანგებს. ჩვენს ძმობას ოდითგან ურყევი ბალავერი აქვს. ცალკეული გულბოროტი სეპარატისტები ამაოდ ლამობენ მის მორღვევას. გვერდით დავუდგეთ ერთმანეთს ქართველები და აფხაზები, მხარი დავუჭიროთ, ნაბიჯი ავუწყოთ დემოკრატიზაციის პროცესს. სხვა გზა უფსკრულისაკენ წაგვიყვანს. დავფიქრდეთ ამაზე.

ლ. ხუბულავა.

## ვეტერანები

# ცხოვრობს ასეთი ქალბატონი...

არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრება ამხნევებს და ასხივოსნებს გარშემო მყოფთ. ეს ხომ რჩეულთა ხვედრია! სწორედ ასეთ რჩეულ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება ჩვენი პატარა სოფლის მცხოვრები ქალბატონი ნადია გვათუა-შელია.

ეს ის ქალბატონია, რომლის ოჯახსაც შეეხო შავბნელი 1937 წელი. იმ პერიოდში მისი მეუღლე—გრიგოლ შელია გაგრის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა. ბედნიერად მიედინებოდა მათი ოჯახის ცხოვრება, მაგრამ არაფრის გამო მოულოდნელად აპატიმრებენ გრიგოლ შელიას, ხოლო ქალბატონ ნადიას, როგორც „მოღალატის" მეუღლეს, ციმბირში გადაასახლებენ; შუაღამისას მოულოდნელად დაადგნენ ჩეკისტები თავზე უმწეო ქალს, ლოგინში მძინარე ორი მცირეწლოვანი შვილი დაატოვებინეს..

რვა წელიწადი გაატარა მან ჯოჯოხეთში, საბედნიეროდ ვაჟკაცურად გაუძლო სულიერ, მორალურ თუ ფიზიკურ ტანჯვას. 1945 წელს ბრუნდება სამშობლოში. საკუთარი საცხოვრებელი ქალაქ გაგრაში მისთვის უკვე აღარ არსებობს. თავისი შვილებით, რომლებსაც ზრდიდა ნადიას ძმა მამია გვათუა, უბრუნდება მამისეულ კერას სოფელ ხეცერაში და იწყებს იმავე სოფლის სკოლაში პედაგოგიურ მოღვაწეობას. გადასახლებამდე ქალბატონ ნადიას დამთავრებული ჰქონდა ქალთა გიმნაზია და სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი.

35 წლის მანძილზე ცოდნის ლამპარით ხელში წინ მიუძღოდა მოსწავლე-ახალგაზრდობას. მან თავისი უანგარო შრომით და უტყუარი პროფესიონალიზმით ღირსეულად აღასრულა უდანაშაულოდ დაღუპული მეუღლისადმი მიცემული ფიცი; ემსახურებოდა სიმართლეს; თავის ხალხს და საყვარელ სამშობლოს... ჯილდოები, დაფასება და აღიარება არ აკლია სახალხო განათლების წარჩინებულს.

სახელოვნად აღზარდა ქალბატონმა ნადიამ შვილები. უფროსი ვაჟიშვილი—კუკური შელია მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია, უმცროსი ხონძი—დამსახურებული ინჟინერი გახლავთ, წლების მანძილზე მუშაობდა ენგურჰესის სამმართველოს უფროსად, № 12 სამშენებლო ტრესტის მმართველად, ამჟამად თბილისში მოღვაწეობს..

ამჟამად ქალბატონი ნადია 87 წლისაა. მხოლოდ ფეხები სტკივა, თორემ მეხსიერება წამითაც არ ღალატობს. ჩვენმა სკოლამ ის დამსახურებულ პენსიაზე გააცილა 1980 წელს. მახსოვს, გაცილების ზეიმზე მან თავისი შესანიშნავი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „მასწავლებელი კლასში კი არ უნდა იჯდეს, არამედ ციბრუტივით ტრიალებდეს და რადგან მე ფეხზე ტრიალი არ შემიძლია—ვტოვებ საყვარელ სკოლასა და ახალგაზრდებს".

...ცხოვრობს ძველ, მამისეულ ფიცრულ ოდა-სახლში ჩუმად, უხმაუროდ კეთილი ქალბატონი, რომელსაც დიდი ტრაგედია უგემია უსამართლობისაგან.

ვინ იცის, 35 წლის მანძილზე რამდენი ღამე გაუთენებია მომავალ თაობაზე ზრუნვაში, რამდენჯერ დაფიქრებულა მათ ბედზე. ამ წერილის წამკითხველთაგან რამდენს გაახსენდება ნადია მასწავლებელი, მისი თბილი, ალერსიანი სიტყვები და რჩევა-დარიგება, რამდენს დაუდგება თვალწინ თავიანთი მოსწავლეობა და ერთხელ კიდევ, ალბათ მერამდენედ, ჩათვლიან თავს ბედნიერად, რომ ამ შესანიშნავი მასწავლებლის ხელში უსწავლიათ..

კვლავაც მხნეობა და დიდი ხნის სიცოცხლე ვუსურვოთ დიდ ქალბატონს—ნადია მასწავლებელს.

ლეილა ბერიშვილი,
ხეცერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგი.

# მივყვეთ, ვუერთგულოთ

დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩვენს მრავალტანჯულ საქართველოში ისტორიული მოვლენა მოხდა: ჩვენდა გასახარად პირველად გამართულ მრავალპარტიულ არჩევნებში დემოკრატიულმა, პროგრესულმა ძალამ გაიმარჯვა. ერმა აირჩია ის, ვინც მიაჩნდა და მიაჩნია თავის მისწრაფებებისა და მიზნების გამომხატველად.

ამ არჩევნების შედეგები შეიძლება შევადაროთ იმ მტკიცე საძირკველს, რაზედაც უნდა აშენდეს ერთიანი, თავისუფალი და მდიდარი საქართველო. ახლა კი საჭიროა ყველა ქართველის თუ საქართველოში მცხოვრები არაქართველის განუზომელი ძალისხმევა, რათა ჩვენმა სამშობლომ მალე მოიპოვოს ნანატრი თავისუფლება. თანადგომა, გაერთიანება, თავდადებული შრომა დღის ისე აუცილებელია, როგორც არასდროს.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ჩვენ—ზუგდიდელ კოოპერატორებს, აქტიური მოქმედებისაკენ მოგვიწოდებს, რასაც ფსიქოლოგიური გარდაქმნა, ძველებური სტერეოტიპების მსხვრევა სჭირდება. და ჩვენც ვცდილობთ დროის მოთხოვნას ავუწყოთ ნაბიჯი, გარდავქმნათ მუშაობა.

31 მარტს მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმში. ხმა მივეცით ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში ასარჩევ კანდიდატურებს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

მივყვეთ ჩვენს მიერ არჩეულ პარლამენტს! როგორც ბატონი ზვიად გამსახურდია თავის ლექსის ერთ-ერთ სტროფში ამბობს: „და მაგვიძღოდეს ეკლიან გზაზე წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი".

ბ. ბასილაია,
რაიკოოპკავშირის იურისკონსულტი.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების №92 კახათის და №93 რუხის საარჩევნო ოლქებისა და უბნების ამომრჩეველთა საყურადღებოდ!**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების ზ. ქობალიასა და ვ. შურღაიას რწმუნებულებს ს. სორდიას და ა. ხაზაიას ამომრჩევლებთან შეხვედრა აქვთ ყოველ სამშაბათს და ოთხშაბათს 11 საათიდან 13 საათამდე, რუსთაველის ქ. № 90 საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობა, მე-4 სართული, დეპუტატის ოთახი.

# წერილი რედაქციას

[illegible] გამზადებული მქონდა, მაგრამ [illegible] რედაქციაში მიტანა რატომღაც შემაგვიანდა. ვფიქრობ, რედაქცია და მკითხველიც მომიტევებს ამ დაგვიანებული გამოხმაურებისათვის.

ვარ ეროვნებით ოსი, თეთრი წყაროს რაიონიდან. გათხოვილი ვარ ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში. ჩემი შვილი ზაალ [illegible], რძალი ლეილა გრიგო[illegible]შვილი, შვილიშვილი ნათია ქართველებია. ვცხოვრობ ქართველების გარემოცვაში. პატივს ვცემ მათს ადათწესებს, საუკუნოვან ტრადიციებს, სტუმართმოყვარეობას, მეზობლებისადმი, ახლობლებისადმი, სხვა ეროვნების ხალხისადმი პატივისცემას, [illegible]ობას და ურთიერთ[illegible]ების უნარს.

მიკვირს. ნუთუ ქართველებმა იმის გამო უნდა დაისაჯონ, რომ ისინი სულგრძელობას იჩენდნენ, თავიანთ სახლში დაუფიქრებლად იღებდნენ და გულუხვად მასპინძლობდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს? აღშფოთებული ვარ ოსების მოქმედებით, ნუთუ მათ დაავიწყდათ ისტორიული ჭეშმარიტება, ნუთუ აღარ ახსოვთ, რომ ქართველთა მიწაზე ცხოვრობენ, ქართული მიწის, ქართული ბუნების მადლით გამოუზრდიათ შვილები და შვილიშვილები. მაშ, თუ ყოველივე დაივიწყნიათ და ჯერ კიდევ გონს არ მოსულან, ახლა შეერგოთ საქართველოს მიწა-წყლის სიკეთე. მაგრამ კიდევ მგონია, რომ ექსტრემისტების ტალღას მთლად ვერ წაულეკია ნამდვილი ოსის აზროვნება, ჭეშმარიტი ოსის სახელი შეუბღალავია. მე მოვუწოდებ ოსებს ხმა აიმაღლონ და ნუ მოექცევიან იმ უმცირესობის გავლენის ქვეშ, რომელიც მესამე ძალის პროპაგანდით გაბრუებულა და თავგზა აბნევია.

ულიკო ბორბოლაშვილი-ნაყოფია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზურგს ნუ შეაქცევთ თუთას

## მეაბრეშუმეობას — ახალი სუნთქვა!

მეაბრეშუმეობა საქართველოში ყოველთვის სარგებლობდა გამორჩეული ყურადღებითა და პატივისცემით. მეურნეობის ამ ტრადიციულ დარგს, მის ბიოლოგიურ თავისებურებებს იმთავითვე აუღო ალღო ქართველმა გლეხკაცმა და მის ამ სათუთ დამოკიდებულებას და რუდუნებას შესატყვისი უკუგებაც ჰქონია მუდამ.

კომუნისტური მმართველობის შვიდი ათეული წლის განმავლობაში არაერთგზის იქნა მიღებული სპეციალური დადგენილებები, ისახებოდა ენერგიული ღონისძიებანი დარგის წინწაწევისათვის. მაგრამ ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული რეჟიმის პირობებში ყველა ასეთი მცდელობა ექცეოდა ფორმალიზმის ტყვეობაში. პრობლემის უშუალო გადაწყვეტის სტადიაზე კონკრეტულ შემსრულებელთა მხრიდან მას აკლდებოდა ის ძალისხმევა და მადლი, ურომლისოდაც ნებისმიერი წამოწყება განწირულია.

გუშინდელ დღესავით გვახსოვს 1984 წელს ზონში (მაშინდელი წულუკიძე) ჩატარებული სპეციალური რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც კონკრეტული რეკომენდაციები შეიმუშავა აბრეშუმის პარკის წარმოებისა და თუთის ნარგაობათა დაჩქარებით აღდგენის შესახებ. მაგრამ არსებითი გარდატეხა არც მას მოუხდენია.

რაიონის საზოგადოებრიობა ყოველთვის კრძალვით მოიგონებს შესანიშნავ ადამიანს, ნოვატორ მეთუთე-აგრონომს კარლო ფაჟავას, რომელმაც შესაშური ენთუზიაზმით, ჭეშმარიტად მინდასხეული გზნებით ილვაწა ამ ძირძველი კულტურის ფართოდ დამკვიდრებისათვის ჩვენს რეგიონში. ამ ხელმაღლიან კაცს გამომუშავებული ჰქონდა თუთის ნერგების გამოყვანის საკუთარი მეთოდი და მის დანერგვას ესწრაფვოდა როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო სექტორში. თავისი ეს გატაცება მან ათეულობით თავის თანამემამულეს გადასდო. ნოვატორის კეთილი ტრადიციები გააგრძელეს ინგირელმა ანზორ ქვარაიამ, დარჩელელმა ჯემალ ბიგვავამ, რუხელმა ვარლამ ფარცვანიამ და სხვებმა.

ზუგდიდის სათაო პარკსაშრობის ხელმძღვანელობასთან ამასწინანდელ საუბარში გამოიკვეთა არაცალსახა ტენდენციები, რომლებსაც ღრმა და დაკვირვებული ანალიზი და არაორდინალური ღონისძიებების დასახვა სჭირდება. რაიონს დღეისათვის 500-მდე ჰექტარი თუთის პლანტაცია ერიცხება. შესაძლოა, ეს არ იყოს უმნიშვნელო რეზერვი. მაგრამ დაფიქრების საგანი ხდება მეორე მომენტი. თუთის ნარგავებს რიგი საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელები ავი დედინაცვალის თვალით უყურებენ. აშენებენ მას შეუფერებელ ნიადაგებზე, თანაც აგროწესების დარღვევით. საკმარისია დაიარო ჩვენი სოფლები და დამაღონებელ სურათს წააწყდები. ასეულობით საკარმიდამო ნაკვეთზე თუთის ერთ ძირსაც ვერ ნახავ. განა გვეკადრება ასეთი გულგრილობა ამ მამაპაპური მეტად საჭირო კულტურისადმი?

მეურნეობის ამ თვითმყოფადი დარგისაგან ამდაგვარი მასობრივი გაუცხოება მის მომავალ ბედს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ნუთუ ისე უნდა გაგვიცივდეს გული, რომ ჩვენს საკარმიდამო ნაკვეთზე თუნდაც 40-50 ძირი თუთისთვის ადგილი არ მოვიკვიროთ?

თავის დროზე აღნიშნულ საკითხს გულშემატკივრულად მოეკიდნენ დარჩელში, ახალსოფელში, შამგონაში, კოკში, ახალ აბასთუმანში, რუხში, ორსანტიაში, ანაკლიაში და სხვაგან. მაგრამ, საკითხავია, რატომ დუმან სხვა სოფლები?

საჭიროა უფრო მაღალ დონეზე დავაყენოთ თუთის მუხობის საქმე, რათა ნერგების გახარების უფრო სტაბილური მაჩვენებელი გვქონდეს. მიზანდასახულად მუშაობა უნდა გაიშალოს თუთის სათეს და სანერგე სკოლებში. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ დარგის აღორძინების უზარმაზარი შესაძლებლობა.

ამ წერილს, რა თქმა უნდა, არა აქვს მეაბრეშუმეობის განვითარების მრავალსახა პრობლემის სრული და ამომწურავი ანალიზის პრეტენზია. ჩვენ მხოლოდ საკითხის აქტუალობაზე მივანიშნეთ მკითხველებს. ვიმედოვნებთ, ამ პუბლიკაციას გამოეხმაურებიან დარგის აღმავლობით დაინტერესებული პირები, სპეციალისტები, ჭეშმარიტი მამულიშვილები.

განა გვაქვს უფლება გადაშენების საფრთხე შევუქმნათ კულტურას, რომელსაც თავს ევლებოდნენ ჩვენი მამა-პაპანი? მომავალი თაობა განგვიკითხავს, თუ ქართველი გლეხკაცის მეურნულ გენთან, ფსიქოლოგიასთან ისტორიულად თანშეზრდილ თუთას ზურგს შევაქცევთ.

# ეს დღეები სოფელში

დღეს იმატა. მომრავლდა სამუშაოებიც. ბევრი საზრუნავია ახლა საზოგადოებრივ მეურნეობებში. მშრომელები გულმოდგინედ უყრიან საფუძველს მიმდინარე წლის მოსავალს. მათ უხმობს მეცხოველეობის ფერმები, პლანტაციები თუ საკოლმეურნეო მინდვრები. დროზე დაიჭირეს თადარიგი ოქტომბრის ხვნას. გააჩნიათ სიმინდის და სხვა მარცვლეული კულტურების თესლი.

კოლმეურნეობის ეკონომიკის გაუმჯობესებაში თავისი წვლილი შეაქვს საკვებმომპოვებელთა ბრიგადას და მის წევრებს იურ ჩანგელიას, უშანგი და ჯიმშერ ქირიებს, გიგლა კორთხონჯიას, გურამ უზილავს.

კოლმეურნეობის მეჩაიეობისა და მესიმინდეობის ბრიგადებშიც.

მეჩაიეები და მესიმინდეები — გვითხრა კოლმეურნეობის მთავარმა აგრონომმა ბონდო ქირიამ, — იჯარული მეთოდით მუშაობენ. პლანტაციებში ყოველდღე დასაქმებულია ხუთი ტრაქტორი. თითოეული მექანიზატორი 10 ჰექტარს უვლის. მოიჯარეებმა ჯიულ ცაავამ, ვაჟა ძაძამიამ, არდაშელ აბაკელიამ, რევაზ გვასალიამ და ბეჟან პირტახიამ ვადამდე დაამთავრეს 50 ჰექტარი ჩაის პლანტაციის მოვლითი სამუშაოები. ახლა ისინი მეჩაიეობის სხვა ბრიგადებში მუშაობენ.

სრულმოსავლიან ჩაის 180 ჰექტარზე დამთავრდა კალიუმიანი სასუქის შეტანა. გრძელდება ჩაის ბუჩქების გასხვლა და წყალსაწრეტების ამოწმენდა.

წელს ოქტომბერში სიმინდი სამარცვლედ დაითესება 100 ჰექტარზე. დამთავრდა პირველი ბრიგადის წევრებმა დღემდე 30 ჰექტარზე დათესეს შვრია, 10 ჰექტარზე მრავალწლიანი ბალახები. 40 ჰექტარი დაეთმობა სიმინდს სასილოსედ.

ამ წარმატებათა ფონზე ბევრია გადასაჭრელი საკითხები. არაა დასამალი, რომ მიმდინარე ეტაპზე ცხოვრებამ ყველა სფეროში იმდენი პრობლემა წარმოაჩინა, რომ რომ ჭირს მათი ერთმანეთისგან გამოცალკევება.

კოლმეურნეობას გააჩნია მანქანა-ტრაქტორთა პარკი, რომელსაც ინჟინერ-მექანიზატორი ელიოზ ზაქარაია ხელმძღვანელობს. დღეისათვის ერიცხებათ 11 სატვირთო ავტომანქანა და სხვადასხვა ნარკის 14 ტრაქტორი. ყოველივე ეს საკმარისია სამუშაოთა აგროვადებში შესასრულებლად, მაგრამ არის მუშაობაში ხელშემშლელი პირობებიც.

მექანიზატორები ხშირად სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო. ახლახან ამარატურის გაფუჭების შედეგად ერთი ტრაქტორი სამ დღეს მწყობრიდან გამოვიდა. ასეთი შემთხვევები კი იშვიათი როდია.

მექანიზატორთა უკმაყოფილებას იწვევს ისიც, რომ საწვავი ხშირად უხარისხოა, რასაც ტრაქტორების აპარატურა ჩვეულებრივზე ადრე გამოყავს მწყობრიდან.

მეჩაიეებს სასუქებით მომარაგებაში სათანადო დახმარებას ვერ უწევს „სოფლქიმია", ადგილზე საკმაო რაოდენობით არაა შემოზიდული ფოსფოროვანი სასუქი, ამიტომ იგი 180 ჰექტარიდან დღემდე მხოლოდ 70 ჰექტარზეა შეტანილი.

ყურადღების ცენტრშია ჩაის კრეფის სეზონისათვის მზადება. დაიწყო ფარდულებისა და საპლანტაციო გზების შეკეთება, მაგრამ სამშენებლო მასალების უკმარისობის გამო სამუშაოები ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს, ჩაის კრეფის სეზონი კი კარზეა მომდგარი.

გვჯერა, რომ ოქტომბერელები ყველა ღონეს იხმარენ სოფლის მეურნეობის მეტი და იაფი პროდუქტების წარმოებისათვის, თავიანთ წვლილს შეიტანენ მშობლიური სოფლის კეთილდღეობაში.

პ. აბსანძე.

### წიგნის თაროს შეემატა

# ზეპირსიტყვიერების მეგრული ნიმუშები

„მეცნიერებამ" გამოსცა „ქართული ზეპირსიტყვიერება" — მეგრული ნიმუშები, სადაც წარმოდგენილია კალისტრატე სამუშიას მიერ ზუგდიდსა და მის მიმდებარე რაიონებში შეკრებილი ქართული (მეგრული) პოეტური და მუსიკალური ზეპირსიტყვიერების საწესჩვეულებო, სატრფიალო, ფილოსოფიური ლექსები, სენტენციები და გამოცანები. რევოლუციამდელი და შემდეგდროინდელი სინამდვილის ამსახველი მასალები ქართული ბწკარედული თარგმანებითა და შენიშვნებით.

წიგნის რედაქტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იოსებ მეგრელიძე, რეცენზენტები — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები: პროფესორები: ალექსანდრე ღლონტი და აპოლონ ცანავა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გიზო ჭელიძე.

განკუთვნილია ქართული ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების სპეციალისტთა და მკითხველთა ფართო წრეებისათვის.

### ხსოვნა

# კვალი ნათელი

იმ უკანასკნელ დღეს, როდესაც სამუდამოდ წავიდა სკოლიდან, დერეფანში ორ წაკინკლავებულ ყმაწვილს შეესწრო. ჩვეული სიდინჯით დაარიგა ისინი.

— აბა, ახლა შერიგდით, — უთხრა ღიმილით და ხელიხელგადახვეულ ყმაწვილებს სიყვარულით სავსე თვალები გააყოლა. ალბათ, არასოდეს დაავიწყდებათ დათოს და გოჩას მისი სითბო, გულისხმიერება.

საოცრად გულითადი ადამიანი გახლდათ, მთელი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ სიკეთეს, სითბოს, სიყვარულს თესდა. ტკბილმოუბარი, ფაქიზი დამოკიდებულება ადამიანებისადმი, ყურადღების გამოჩენა მეგობრებისადმი, მეტადრე ახალგაზრდებისადმი, რომელთა გულშიც განსაკუთრებულ ადგილს პოულობდა და სიკეთის თესლს აღვივებდა. ამიტომაც დასტიროდნენ ასე ცხარე ცრემლებით აღზრდილები, მოსწავლეები, კოლეგები, მთელი სოფელი — ვალმოხდილს, ათასობით ახალგაზრდის გზამკვლევს, სოფლის მოჭირნახულესა და გულშემატკივარს ცაცხვის საშუალო სკოლის დირექტორს სოკრატ კუკავას. მას მუდამ განსაკუთრებული ადგილი ეჭირა საზოგადოებაში თავისი ადამიანური მომხიბვლელობით და პატიოსნებით, სიმართლისადმი სიყვარულით. სწორედ ამიტომაც დატოვა კვალი ნათელი.

მეგობრები.

# როგორ გიყვარდა გაზაფხული...

ცრემლებში გაილია ეს აუტანელი, მძიმე წელი. შენს სახელზე დანთებული სანთლები შენივე სიცოცხლეს ჰგავს ფატი!

გაზაფხული მოსულა, როგორ გიყვარდა ეს დრო, ხასხასა მდელო, ლამაზი ყვავილები. შენც ხომ გაზაფხულივით ლამაზი იყავი, მხიარული, კისკისა. შენი მეოცნებე თვალები სიყვარულსა და სითბოს აფრქვევდა ირგვლივ.

მეორე კურსის სტუდენტმა ბედი თანატოლს დაუკავშირე. გსურდა ბედნიერი ოჯახით გეცხოვრა, მაგრამ ვაი, რომ 21-ე გაზაფხულს ველარ მოესწარ. ეშმაკი ჩაუსაფრდა შენს ლამაზ სიცოცხლეს და... მაშინ, როცა დედობამდე ერთი ნაბიჯიღა იყო, ტრაგიკულად დასრულდა იგი.

ფატი კვიციანის საფლავთან მუდამ ვიკრიბებით თანაკლასელები, დავიწყების ბურუსს ვაცილებთ; უხმოდ ვესაუბრებით.

23 მაისს, შენი გარდაცვალების წლისთავზე კვლავ მოვალთ იქ, თვალხატულა ყვავილები გულს გაგიცისკროვნებს, ღმერთს შევავედრებთ შენს წმინდა და უმანკო სულს და ესეც გაგიიოლებს სულეთის გზას. ღმერთო, გაანათლე მისი სული!

ქალაქის მე-13 საშუალო სკოლის 1987 წლის კურსდამთავრებულები.

## ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა!

# მთავარი მოძრაობაა

ქოლესტერინი არ არის ერთადერთი მავნებელი ნივთიერება გულისათვის. ატლანტის კვლევითი ცენტრის მიერ მიღებული შედეგების მიხედვით, რისკის მრავალრიცხოვან ფაქტორთა შორის ქოლესტერინს მხოლოდ მეორე ადგილი უჭირავს (31 პროცენტი). პირველობა ამ მხრივ ეკუთვნის ეგრეთწოდებულ, მჯდომარე ცხოვრების წესს (58 პროცენტი).

მჯდომარე ცხოვრების წესად კი ითვლება იმგვარი მდგომარეობა, როდესაც ადამიანი კვირის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ გადის სახლიდან და ისიც სულ რაღაც 20 წუთით.

ფიზიკური ვარჯიში, გარკვეულ წილად, არეგულირებს ქოლესტერინის შემცველობას სისხლში, გარდა ამისა აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, აძლიერებს გულის კუნთს, ამცირებს სისხლის წნევას. სპორტით დაკავებული ადამიანი რამდენადმე აწყნარებს, განმუხტავს სტრესულ მდგომარეობას, ხოლო სტრესსა და მაღალ წნევას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი.

—უკანასკნელ წლებში ქოლესტერინის წინაშე შიშმა წარმოშვა დიეტებისა და წამლების დიდი რაოდენობა, რომლებიც მიზნად ისახავს, რაც შეიძლება, შეამციროს მისი შემცველობა სისხლში,— ამბობს ჯორჯო ბერტი, კარდიოლოგი ტურინიდან—გამოიყენო მცირე რაოდენობით ცხოველური ცხიმები კარგია, მაგრამ ,თუ მხოლოდ ამით შემოიფარგლებით და არ შეცვლით თქვენი ცხოვრების წესს, რა მნიშვნელობა ექნება ყოველივე ამას?

გასათვალისწინებელია შემდეგიც: ქოლესტერინის საერთო დონემ უნდა დაიწიოს 150 მილიგრამამდე დეცილიტრ სისხლზე (რეკომენდებული დონე —200) —ამტკიცებს უილიამ კასტელი, რომელიც 1948 წლიდან 5 ათას ამერიკელს მკურნალობს

მაგრამ როგორი აზრისა უნდა მოუძებნონ თავად მედიკოსებმა ქ:მდე გ მო ვეუხე-ულ მონაცემებს? ამგვარ კითხვას სვამს ალან ჩრეტი-ბოსტონიდან. მელსინკის ჯანმრთელობის ცენტრმა გამოიკვლია, რომ იმ 2051 პაციენტიდან, რომლებმაც გაიარეს ანტიქოლესტერინული ფარმაცევტული მკურნალობის კურსი, 56 (2,7 პროცენტი) ხუთი წლის შემდეგ აღმოჩნდა დაავადებული კარდიოპათოლოგიით, განსხვავებით 84 (4,1 პროცენტი) ადამიანისაგან იმ 2030 პაციენტიდან, რომელთაც არ გაუვლიათ ამგვარი კურსი.

როგორც ვხედავთ სხვაობა მხოლოდ 1,4 პროცენტია.

—ვაცვლებით ადვილია, ქოლესტერინის პრობლემა გადაიჭრას, თუკი ხალხს წამლის მიღებას დაადალებ და შედარებით რთული პროცესია, იმუშაო თითოეულ ადამიანთან ინდივიდუალურად,— ახსნის ბრეტი.

„ზა რუბეჟომ" №8, 1991 წ.

## სანიმუშოდ გვემსახურა

ჩვენი გასაჭირი ყველაზე მეტად ტრანსპორტს რომ დაეტყო, ეს ფაქტია. არ მოძრაობენ რეგულარულად ავტობუსები, ტაქსსაც კი იშვიათად შეხვდები.

თბილისიდან ჩამოსულებს კი გაჭირვების ტალკვესად მოგვევლინა მსუბუქი ტაქსომოტორების მძღოლი ალექსანდრე ჩახაია, რომელიც სანიმუშოდ მოგვემსახურა. ეს ღვთისნიერი კაცი რომ არა, საკმაო ძვირადღირებული ნივთი დაგვეკარგებოდა.

მადლობა მას კეთილსინდისიერი სამსახურისათვის.

ცისანა აკობია.

## ა. ა. ბერულავა

ზუგდიდის სოფლის მეურნეობის მუშაკთა რიგებს გამოაკლდა მისი ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი, შრომის ვეტერანი აკაკი ალექსანდრეს ძე ბერულავა.

იგი დაიბადა 1927 წელს სოფელ კახათში, ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ 1948 წლიდან, შრომითი საქმიანობა დაიწყო ინგირის ჩაის მეურნეობაში აგროტექნიკოსად, ახალგაზრდული საწარმოო ბრიგადის ბრიგადირად, ხოლო 1966 წლიდან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ამავე მეურნეობაში იმუშავა აგრონომად, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარედ. შემდეგ გადაყვანილ იქნა საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის ინსტრუქტორ-ორგანიზატორად, 1966 წელს ა. ბერულავას ირჩევენ სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. 1969 წლიდან კი მუშაობდა ინგირის ჩაის ფაბრიკაში მთავარ აგრონომად, შემდეგ იყო ინგირის ჩაის მეურნეობის აგროგანყოფილების მმართველ-აგრონომი, პენსიაზე გასვლის შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა ინგირის პირველ საშუალო სკოლაში მწარმოებლური შრომით მასწავლებლად.

ა. ბერულავა ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას, არჩეული იყო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრად. ინგირის სასოფლო საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მრავალი მედლით. სსრ კავშირის სასოფლო სამეურნეო გამოფენის ოქროსა და ვერცხლის მედლებით.

ბატონი აკაკი იყო დიდებული სამეურნეო მუშაკი, კარგი მეოჯახე და გულთბილი მეგობარი, მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ცხონდია.

---

4 წლის ბესიკ ჯღარკავას მშობლები —ლუდმილა და იურა ჯღარკავები მადლობას უხდიან რაისაავადმყოფოს ბავშვთა განყოფილების გამგეს ზურაბ უბერს და მთელ მედპერსონალს გამოჩენილი გულისხმიერებისათვის—პატარას გადარჩენისათვის და უსურვებენ მუდამ სიხარული მოეტანოთ ნორჩი პაციენტისა და მათი ახლობლებისათვის.

ქ. ზუგდიდის მე-3 საშუალო სკოლის 1968 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ სამაჩაბლოში ტრაგიკულად დაიღუპა ჯანო დურუს ძე რაფავა და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ძმა რობერტი, მამიდა მარგო, ბიძები: არველოდი, ბოჩია, შალიკო ბენდელიანები, რეზო მირცხულავა, ბიცოლები: შურა შენგელაია, ციალა მაქაცარია, ნედიკო დამენია, ბიძაშვილები: ნუგზარი, ემზარი, ლორეცა, რომეო, რამაზი, გიორგი, მაია, მარინა, რომანი, ლევანი ბენდელიანები, მამიდაშვილი მადლენა მირცხულავა, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ სამაჩაბლოში ტრაგიკულად დაიღუპა **რომან შოთას ძე ბენდელიანი.** პანაშვიდი 3, 4, 5 აპრილს. დაკრძალვა 6 აპრილს ს. ჯიხაშკარში.

---

მეუღლე ნათელა, შვილები: ანატოლი, შორენა, ლუიზა ესებუები, არონ როგავა. ძმები: ჟორჟი, ალფეზი. რძლები თამარ ივარდავა, მარინა როგავა, კლარა, ტოსია ესებუები, სიძეები: გოგი შონია, ჟორა ცირდავა, შვილიშვილები: ზაზა, კობა ცირდავები, ზურაბი, მზექალა შონიები, ანა ესებუა, სოფიკო, რომანი, რუსუდან როგავები. ცოლისდები შურა, მერი ლაგვილავები, ქვისლები: ჟორჟი მიქავა, ჟორა ჩიტაია, მზახლები: ვალიკო, ლონდა ივარდავები, ძმისშვილები: ინგლიშერი, როლანდი, ბორისი. თამაზი, მერაბი, კლარა, ქეთო ესებუები, ჯემალ როგავა, დისშვილები: გული მირცხულავა, თამაზი, მიმოზა, როზა ხვინგიები, რამინი მიგინეიშვილი, ვოვა, გივი ლომაიები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან

**შალვა კაკას ძე ესებუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4, 5 აპრილს. დაკრძალვა 6 აპრილს სოფელ გრიგოლიშში.

---

მეუღლე ლეილა ჩუნთიშვილი, შვილები: ირინე, მადონა, და მიმოზა, სიძე გოდერძი ცხვედიაშვილი შვილებით გელა და გიათი იუწყებიან

**დიმიტრი (მიტო) ილიას ძე სახოკიას**

გარდაცვალებას. დასაფლავება 4 აპრილს. გამოსვენება ქ. რუსთავი, რუსთაველის 21, ბინა 18.

---

დედა იმედო, მამა დურუ, მეუღლე ლუიზა თევზაძე, შვილები: ზაზა, ნინო, ჯანო, ბებია თამარა, და ზოია, ძმები: ელდარი, ჯონი, რძლები: ნანი ქობალია, მზეონა გიგიბერია, სიძე თანდილა ქარდავა, სიდედრი დუშა, სიმამრი ხუტა თევზაძე, მამიდები ნუცა, ნაზი რაფავები, ჟუჟუნა, თინიკო, ნაზიკო თევზაძეები, დეიდები: თათუშა, ეთერი, ვარდო, დალი, ბიძები: ჯუმბერი, გოგი კოდუები, ვალიკო, ვანიჩკა, რობერტი, იდენი რაფავები, დათიკო, ალიოშა, შაქრო თევზაძეები, ვალოდია, გივი, ვაჟა ცხადაიები, ბიცოლები: ციალა, კლარა, ჯული კოდუები, დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ სამაჩაბლოში ტრაგიკულად დაიღუპა

**ჯანო დურუს ძე რაფავა.**

პანაშვიდი 3, 4, 5 აპრილს. დაკრძალვა 6 აპრილს. გამოსვენება ზუგდიდი, ურიცკის ქ. №2, 5 საათზე.

---

შვილი თამაზი. რძალი ნილა. შვილიშვილები ილია, ტატა გოშუები, დები დუშა, ლიდია, ძმისშვილები: ფუფი, ლევანი, ნინა გოშუები, სიძე ლოუდუკი ქირია, დისშვილები ბოჩია, კობახიძე, გული, ზაირა ჯიქიები, ია, ოთარი ჭანტურიები. ცოლისდა ქეთო, ცოლისდისშვილი ფაჩა დემუროვები, ცოლისძმისშვილი გოვა ივანოვი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ილია ტარიელის ძე გოშუა.**

პანაშვიდი 2, 3 აპრილს. დაკრძალვა 4 აპრილს. გამოსვენება ზუგდიდი, ლერმონტოვის 15-დან.

---

კახათის კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თემურ ჩახაიას დედის

**ცოცია პროფის ასულ მაქაცარია-ჩახაიას**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე თამარ ჩარგაზია, შვილები: აჩიკო, რაული, ლამარა-მილერი ხარებავები, რძლები: თამარა გოგია, მაყვალა ფირცხელაიშვილი, დოდო გაბისონია, მანანა საზანდრიშვილი. ქეთინო ზარიძე. ცირა დგებუაძე, სიძე ჯემალ ჯგერენაია, შვილიშვილები: გოჩა, თემური. მაკა, ეკა. თამუნა, კახა, ეკატერინა ხარებავები, ნუკრი, რუსიკო ჯგერენაიები, შვილიშვილისშვილი აჩიკო ხარებავა, ძმისწული ამირანი, დისწულები: შურა. ბიჭიკო, ალიოშა, ჟორა კაკაშვილები, ანზორ კილასონია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კალისტრატე (კალე) ნესტორის ძე ხარებავა.**

პანაშვიდი 2, 3 აპრილს 6 საათზე. დაკრძალვა 4 აპრილს 5 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, გამარჯვების ქ. 146-დან.

---

მეუღლე გული. შვილები: ჯუმბერი. ნატო, მერაბი, მარინე, დები: ნორა, მარგო, ძმები: ომეხი. გერონტი მიქავები, რძლები როზა წითლიძე, დეუ ფონია, სიძეები იმედი ჯიქია, ნუგეში ჯიქია, მიშა ქირია, შვილიშვილები: ზიტა, ზვიადი. მარიკა. მანუჩარი. მაკა ჯიქიები. თამრიკო, თეონა, ონისე მიქავები, დისშვილები გენო, რამიზა, გიორგი ქირიები, ძმისშვილები ბაჩუკი, ბადრი მიქავები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ბალიკო ხოხოს ძე მიქავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 აპრილს. დაკრძალვა 4 აპრილს 18 საათზე სოფ. ოქტომბერში.

---

მეუღლე ბებეშა, შვილები: ონერი, გურამი, ჯენვერი, თინა, ლულიკო, ემა, მზია, დები: მარო, ჰაპა, რძლები: ციცო, ლუიზა, ნინო, სიძეები: გრამიტო ჩარგაზია, ვალერი ბაკურაძე. გია ლომთათიძე, დისშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

**იპოლიტე ალექსის ძე კორკელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4, 5 აპრილს. დაკრძალვა 6 აპრილს სოფ. ორსანტიაში.

---

მეუღლე მაშა. შვილები: ნელი, ლარისა, ჟანა, საშა, შოთა, დები: ცუცა. მარგო, თალიკო, ჟუჟა, ძმა გვანჯი, რძალი ნათელა, ძმისშვილი ნინო, სიძეები დათიკო ჯიქია, იურა წურწუმია, მიშიკო შელია, გელა ღურწკაია, დისშვილები: ინოლა. ინეზა, ოთარი, მურმანი, გივი კიკალიები. ნაზიბროლა, მადონა, დათო, გია ჯიქიები, იური წურწუმია. დარეჯანი. გელა. ბესიკი. გოჩა შელიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ხუტა ესტატეს ძე კანკავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 აპრილს. დაკრძალვა 4 აპრილს სოფ. დარჩელში.

---

მეუღლე თინა, შვილები ეკა. ნინო, მაკა. და ბაბუცა. ძმები: ხვეთე. კაკო, ზაურ შულაიები, სიძეები ტატაჩი მგალობლიშვილი, გიორგი გვანცელაძე, შვილიშვილი ივანე გვანცელაძე, რძლები: ირა, ბაბუცა, ვანელა, ლიანა. ბიცოლა მარგუშა, ცოლისდები: ჟუნა, გუგუ, დინარი შელიები, ქვისლი ლონია რახნო, ძმისშვილები, დისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**შალიკო მელიტონის ძე შულაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4, 5 აპრილს. დაკრძალვა 6 აპრილს 6 საათზე ნარაზენში.

---

დეიდები: ბუბუცა, ოლია, ქეთო, სიჭინავები, სიძე ვანო ვაჩნაძე, დეიდაშვილები ალექსანდრე, ნავრა, კლარა, გოგი, ზური ჭეიშვილიები, ოთარ გვასალია, ჟუჟუნა, გიორგი ვაჩნაძეები ოჯახებით იუწყებიან

**დიმიტრი (მიტო) ილიას ძე სახოკიას**

გარდაცვალებას.

---

ზუგდიდის ყრუთა საზოგადოების კოლექტივი თანაუგრძნობს პაატა შედიასა და კახა ნაყოფიას ბაბუას

**შოთა ახტამურის ძე ნაყოფიას**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ვარადეზულო, შვილები: ნათელა. ზაირა, ნელი, გულიკო, ოთარი, რუსთაველი, კარლო, რევაზი ქარდავები, ძმები: არსენა. მიშა, ლუდა, შოთა, რეზო, მიქავები, რძლები: ლუიზა, მზია, გალინა, ლეილა, რაია. ცირა, ნონა, ნათელა, ლიანა, ვიდიშა, ლიმო, გონა, სიძეები: შალერი ყოლბაია, თენგიზ მამარდაშვილი. შვილიშვილები: ვახტანგი, იზა. ლევანი. რამაზი. ზაზა, ომარი, ჯულიეტა. თამუნა ქარდავები, ზაზა, ცირა ფიფიები, თემური, ვასიკო, თამაზი, თეონა მამარდაშვილები, ძმისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ეთერ სამსონის ასულ მიქავა-ქარდავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 აპრილს. დაკრძალვა 4 აპრილს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, მარჯვენა სანაპიროს ქ. 62.

---

მეუღლე ლამარა, შვილი რომეო, ძმა ხუტა, ძმისშვილები ნონა, ნანა, ოთარი, გია შონიები, მამიდა ბუძუნი შონია, დეიდა ნათელა შამუგია, სიდედრი ლიზა აკობია, ცოლისდები მარგო, ნარგიზა, იზოლდა ეხვაიები, რძლები: ლუარა გუგუჩია, ნანული ახალაია, ქვისლები: ვაჟა ქარდავა, რუბენ შონია, სოსო უბილავა, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნოდარ ბოდოს ძე შონიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5 აპრილს. დაკრძალვა 6 აპრილს. გამოსვენება 18 საათზე. ქ. ზუგდიდი, სარაჯიშვილის ქუჩა 15-ში.

---

ანაკლიის მეციტრუსეობის მეურნეობის კოლექტივი თანაუგრძნობს რაულ ხარებავას მამის

**კალისტრატე ნესტორის ძე ხარებავას**

გარდაცვალების, გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-28-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-21-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, ბუღალტერიის 2-47-06

სტ. ბეჭდსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23 07 ტირაჟი 5000 შეკ. №1163